

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ სამანდატო
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
ოქმი № 03

ქ.აბაშა უჩა კაჭარავას №1

25 მარტი 2022 წელი

სხდომას ესწრებოდა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ტატიანა ხოშტარია - აბაშის მუნიციპალიტეტის იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.
2. როინ კაჭარავა - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი.
3. დარეჯან ვადაჭკორია - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი.
4. ზაზა ალასანია - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი.

დღის წესრიგი:

მომხსენებელმა, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ , ტატინა ხოშტარიამ, კომისიის წევრებს გააცნო სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ტატო ედიშერაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე.
2. მეგული ჩოჩიას აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.
3. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი :

ტატინა ხოშტარია

(აბაშის მუნიციპალიტეტის იურიდიულ , სამანდატო, საპროცედურო, საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

დღის წესრიგის პირველი საკითხი:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ტატო ედიშერაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე.

მომხსენებელმა კომისიის სხდომას გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ტატო ედიშერაშვილის განცხადება უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებით.

„ საქართველოს ორგანული კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის“ კოდექსის 43 მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება თუ უფლებამოსილება პირადი განცხადებით მოიხსნა. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა წარმოდგენილი განცხადება , ჩათვალა რომ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

აბაშის მუნიციპალიტეტის იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ მიიღო ცნობად აღნიშნული საკითხი.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: / ტ. ხომტარია/

დღის წესრიგის მეორე საკითხი:

მეგული ჩოჩიას აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

მომხსენებელმა კომისიის სხდომას გააცნო აბაშის № 63 ოლქიდან მიღებული წერილი სადაც მოწოდებულია ტატო ედიშერაშვილის ადგილმონაცვლედ მეგული ჩოჩია.

აბაშის მუნიციპალიტეტის იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ მიიღო ცნობად აღნიშნული საკითხი.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: / ტ. ხომტარია/

დღის წესრიგის მესამე საკითხი:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა კომისიის სხდომას გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და სამუშაო გეგმა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი და სამუშაო გეგმა, ჩათვალა რომ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

აბაშის მუნიციპალიტეტის იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 4 დეპუტატი წინააღმდეგი - არცერთი დეპუტატი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: / ტ. ხოშტარია/

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
დასკვნა № 16

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის
დამტკიცების შესახებ.

ქ.აბაშა უჩა კაჭარავას №1

25 მარტი 2022 წელი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო
საკითხთა და ეთიკის კომისიამ დაასკვნა:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-
ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი განკარგულების პროექტი და
სამუშაო გეგმა შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას, ასევე დაცულია დოკუმენტაციის
წარმოდგენის საპროცედურო ნორმები და ვადები.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ დაავალა აბაშის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარეს ტატიანა ხომტარიას აღნიშნულის შესახებ აცნობოს აბაშის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ
გელა ხომტარიას და აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, რათა აღნიშნული
დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუროსა და
საკრებულოს უახლეს სხდომაზე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის

კომისიის თავმჯდომარე:

/ ტ. ხომტარია/

